საქართველოს პარლამენტის ბიუროს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№92/86

2013 წელი, 3 სექტემბერი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 163-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

1.საქართველოს პარლამენტის წევრის ვახტანგ ხმალაძის წინადადების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის წევრის ვახტანგ ხმალაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივით წარმოდგენილი „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ (07-3/166; 29.08.2013) საქართველოს კანონის პროექტი განხილულ იქნეს დაჩქარებული წესით.

2. „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი პარლამენტის სხდომის ერთ დღეს განხილულ იქნეს ორი - მეორე და მესამე - მოსმენით.

3.საქართველოს პარლამენტის კომიტეტებმა, საპარლამენტო ფრაქციებმა, საპარლამენტო უმრავლესობამ, საპარლამენტო უმცირესობამ, პარლამენტის აპარატის იურიდიულმა დეპარტამენტმა, საქართველოს მთავრობამ თავიანთი შენიშვნები და წინადადებები წარუდგინონ საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2013 წლის 3 სექტემბრის №92/26 გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადებში.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარის მოადგილე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე — ზვიად ძიძიგური